კვების სირთულეები ტიპური განვითარების 3-4 წლის ბავშვებში

ანა ლომიძე

კვლევითი პროექტი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და მეტყველების კვლევის მეთოდების სალექციო კურსის მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე წკრიალაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ლომიძე

15 ივნისი 2023 წელი

აბსტრაქტი

კვება ადამიანიის სიცოცხლის ყველაზე მინიშვნელოვანი კომპონენტია, საკვების საშუალებით ადამინი იღებს ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებებს. თოთოეული საკვები რომელიც ჩვენს ირგვლივაა მდიდარია სხვადასხვა მინერალებით, ცხიმებით, ცილებით, ნახშირწყლებით და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ადამიანმა მიიღოს სხვადასხვა კატეგორიის საკვები, რადგან ბუნებრივად მოხდეს საჭირო ნივთიერებების მიწოდება ორგანიზმისთვის.

კვების პროცესი იწყება დაბადებიდან და გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე, კვების ეტაპები ყალიბდება თანმიმდევრულად, კვების განვითარება მოიაზრებს ბავშვის ზრდა-განვითარებას, ორალ-მოტორული უნარების განვითარებას, ბავშვისთვის რუტინის ჩამოყალიბებას, გარემოს ადაპტაციას და სოციალიზაციას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ბავშვის კვება მიმდინარეობდეს ნორმის ფარგლებში და თანმიმდევრულად. უნდა ითქვას ისიც, რომ კვების განვითარების საფეხურები დასრულებული უნდა იყოს 3-4 წლის ასკში, ამ პერიოდიდან ბავშვს განვითარებული უნდა ქონდეს ყველა ის უნარი, რომელიც მას დაეხმარება კვების პროცესში.

კვლევაში მონაწილეობდა 30 ტიპური განვითარების ბავშვი 3-4 წლამდე, მათი მშობლები და საბავშვო ბაღის აღმზრდელები. ბავშვების მშობლებისთვის მოხდა ინფორმიორებული თანხმობის გაცნობა და კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობის მოპოვება. შემდგომ მშობლებმა შეავსეს ASQ ასაკებისა და ეტაპების კითხვარი, ბავშვების ტიპური განვითარების განსასაზღვრად, მოცემული კითხვარის ვერ დაკმაყოფილების შემთხვევაში თითოეული ბავშვის გადამისამართება მოხდა დარგის სპეციალისტთნ, შემდგომ მშობლებს დაურიგდათ დემოგრაფიული/გარემო მონაცემების კითხვარი, პედიატრიული კვების სკალა MCH და ქცევითი პედიატრიული კვების შეფასების სკალა, მოცემული სკალის შევსება მოხდა როგორც მშობლის, ასევე სპეციალისტისა და დამკვირვებლის მიერ.

კვლევის შედეგების მიხედვით 30 ბავშვიდან გამოვლინდა 7 სირთულის მქონე ბავშვი, რომელთა სირთულეები დაიყო სხვადასხვა კატეგორიებად. ტიპური განვითარების კვების სირთულის მქონე ბავშვებში დარღვევა ძირითადად ვლინდება საკვებზე უარის თქმით, საკვების მირთმევას უნდებიან 20 წუთზე დიდ ხანს, კონკრეტული ფაქტურის საკვების მიღებით, მაგიდიდან ფეხზე ხშირი ადგომით ასევე კვლევამ გამოავლინა, მშობელთა ქცევა, როელთა ბავშვებსაც აქვს კვების სირთულე, არის უფრო მეტად დასტრესილი, უფრო მეტად აძალებს ბავშვს საკვებს.

მიზნიდან გამომდინარე, გამოიყო რამდენიმე საკვლევი კითხვა:

1. რამდენად ხშირად გვხვდება ტიპური განვითარების ბავშვებში კვების სირთულეები.
2. რა ფორმით ვლინდება კვების სირთულე.
3. რას თვლიან მშობლები/მასწავლებლები კვების სირთულედ?

საკვანძო სიტყვები: კვების სირთულეები, ტიპური განვითარება, ბავშვი.

Abstract

Food is the most significant component of human life, through food, a person receives the substances necessary for the body. Each food around us is rich in various minerals, fats, proteins, carbohydrates, etc. Based on the above, it is necessary for a person to take different categories of food for him, because the necessary substances are naturally supplied to the body.

The feeding process begins at birth and continues throughout life, the stages of feeding are formed sequentially, the development of feeding includes the growth and development of the child, the development of oral-motor skills, the establishment of a routine for the child, adaptation to the environment and socialization. Therefore, it is necessary to feed the child within the norm and consistently. It should also be said that the stages of nutrition development should be completed by the age of 3-4 years, from this period the child should have developed all the skills that will help him in the process of nutrition.

30 typically developing children aged 3-4, their parents and kindergarten teachers participated in the study. Children's parents were given informed consent and consent to participate in the study was obtained. Parents then filled out the ASQ Ages and Stages Questionnaire to determine children's typical development, in case of failure to meet the given questionnaire, each child was referred to a specialist in the field, then the parents were given a demographic/environmental data questionnaire, the Pediatric Nutrition Scale MCH and the Behavioral Pediatric Nutrition Rating Scale, the given scale was filled out Both by the parent and by the specialist and the observer.

According to the results of the research, 7 children with difficulties were identified out of 30 children, whose difficulties were divided into different categories. The disorder of children with feeding difficulties of typical development is mainly manifested by refusing food, Food is served for more than 20 minutes, taking food of a specific texture, frequently getting up from the table, and research has also

revealed that the behavior of parents, whose children also have feeding difficulties, is more stressful, they force the child to eat more.

Based on the goal, several research questions were identified:

1. How common are feeding difficulties in typically developing children?
2. In what form is the feeding difficulty manifested?
3. What parents/teachers consider to be a difficulty in nutrition?

Key words: feeding difficulties, typical development, child.

მადლობა

მადლობას ვუხდი კვლევის მონაწილე ყველა პირს გაწეული დახმარებისთვის და პროცესში გულისხმიერი ჩართულობისთვის.

მადლობას ვუხდი კვლევის ხელმძღვანელს ელენე წკრიალაშვის გაწეული დახმარებისთვის და რჩევებისთვის.